საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/6860
11/11/2022

6860-21-2-202211111556

სს „აჭარის წყლის ალიანსს“
მის: ქ. ბათუმი, კ. გამსახურდიას ქ. N1
ელ. ფოსტა: lnfo@awa.ge

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენ მიერ 2022 წლის 26 ოქტომბერს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით წარმოდგენილი N30305 განცხადება, რომელიც ეხება ქედის მუნიციპალიტეტში, დაბა ქედას ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობისა და წყალარინების სისტემის მშენებლობასა და ექსპლუატაციას. გაცნობებთ, რომ გზშ-ის ანგარიშში დაზუსტებას და კორექტირებას საჭიროებს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად გზშ-ის ანგარიში ხელმოწერილი უნდა იყოს იმ პირის/პირების მიერ, რომელიც/რომლებიც მონაწილეობდა/მონაწილეობდნენ მის მომზადებაში, მათ შორის, კონსულტანტის მიერ (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- გზშ-ის ანგარიშის თანახმად, ჭებიდან და სეპტიკური ავზებიდან ლამის ტრანსპორტირება განხორციელდება საშუალოდ თვეში ორჯერ (3.4 ქვეთავი). ამასთან, 7.1.3. ქვეთავში აღნიშნულია, რომ საკანალიზაციო ჭების ამოსუფთავება მოხდება იშვიათ შემთხვევებში, ხოლო 7.1.4.2 ქვეთავის მიხედვით, ქსელის, მათ შორის ჭების, გაწმენდა მოხდება რეგულარულად, შევსებისთანავე. შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს საკანალიზაციო ჭების გასუფთავების საკითხი;
- ზღვრულად დასაშვები ჩაშვების ნორმების პროექტში (ქვეთავი 4.1) მოცემული გამწმენდი ნაგებობის მოწყობისთვის გამოყოფილი ტერიტორიის ს.კ. 20.37.01.332 და ფართობი არ შეესაბამება გზშ-ის ანგარიშში მოცემულ საპროექტო ტერიტორიის მონაცემებს, ასევე წყალჩაშვების კოორდინატი (თავი 5) X-744914; Y-4609491 საჭიროებს კორექტირებას;
- გზშ-ის ანგარიშის ქვეთავში 4.3, წარმოდგენილია ინფორმაცია ადგილმდებარეობის ალტერნატივების შესახებ. აღნიშნულ ქვეთავში მოცემული კოორდინატები საჭიროებს კორექტირებას, ასევე შესწორებას საჭიროებს განხილული ტერიტორიების ფართობების შესახებ ინფორმაცია;

- გზშ-ის ანგარიშში მოცემულია მდ. აჭარისწყლის ჰიდროლოგიური მონაცემები, თუმცა, დაზუსტებას და დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენას საჭიროებს მდ. აჭარისწყლისთვის წყალმცირობის პერიოდში მოსალოდნელი მდინარის მინიმალური ხარჯის შესახებ მაჩვენებლები;
- გზშ-ის ანგარიშის ქვეთავში 7.1.1.6 მოცემული ინფორმაცია „საანგარიშო საკონტროლო წერტილები შერჩეულია უახლოეს დასახლებულ პუნქტებთან, რომლებიც ობიექტიდან დაცილებულია 500 მ-ზე ნაკლები მანძილით (წერტ. № 1-35 მ). მანძილები განსაზღვრულია გამოყოფის წყაროებიდან და დატანილია სურათზე“ მითითებული სურათი არ შეიცავს აღნიშნულ ინფორმაციას;
- გზშ-ის ანგარიშში მოცემული ინფორმაციის მიხედვით, მშენებლობის ეტაპზე სამუშაოები შესრულდება 07:00 საათიდან 17:30 საათამდე. ამასთან წარმოდგენილი მოსალოდნელი ხმაურის გაანგარიშების თანახმად, უახლოეს მოსახლესთან აღმოსავლეთით (დაშორება 35 მეტრი) ხმაურის დონე 58 დბა-ს შეადგენს. დოკუმენტში ასევე მითითებულია, რომ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 15 აგვისტოს N398 დადგენილების პირველი მუხლის მე-2 პუნქტის „დ” ქვეპუნქტის თანახმად, რეგლამენტი არ ვრცელდება დღის საათებში მიმდინარე სამშენებლო და სარემონტო სამუშაოებზე. ვინაიდან ზემოაღნიშნული ტექნიკური რეგლამენტის - „საცხოვრებელი სახლებისა და საზოგადოებრივი/საჯარო დაწესებულებების შენობების სათავსებში და ტერიტორიებზე აკუსტიკური ხმაურის ნორმების შესახებ“ მიხედვით, აკუსტიკური ხმაურის დასაშვები ნორმები განსხვავებულია დღის (08:00 სთ-დან 23:00 სთ-მდე) და ღამის (23:00 სთ-დან 08:00 სთ-მდე) პერიოდებისათვის, დაზუსტებას და კორექტირებას საჭიროებს სამშენებლო სამუშაოების განხორციელების გრაფიკი;
- გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი გენ-გეგმები და ლეგენდები წარმოდგენილია დაბალი რეზოლუციით და არ არის გარჩევადი;
- გზშ-ის ანგარიშში, ალტერნატიული ტერიტორიის Shp ფაილი არაზუსტია, წარმოდგენილი Shp ფაილის მიხედვით ალტერნატიული ტერიტორიის დიდი ნაწილი კვეთს მდ. აჭარისწყალს, რაც საჭიროებს შესწორებას;
- გზშ-ის ანგარიშის ქვეთავში 7.9 ჩანაწერი „გამწმენდი ნაგებობის მშენებლობისთვის შერჩეული ნაკვეთი დაბა ქედას დასახლებულ ზონაში მდებარეობს და წარმოადგენს სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო ტიპის ნაკვეთს“ საჭიროებს კორექტირებას, რადგან გზშ-ის ანგარიშში განხილული საპროექტო ტერიტორია წარმოადგენს არასასოფლო-სამეურნეო ნაკვეთს;
- გამწმენდი ნაგებობის მოსახლეობასთან სიახლოვისა და სკოპინგის ეტაპზე გამოთქმული შენიშვნების გათვალისწინებით გზშ-ის ანგარიშში მოცემული უნდა იყოს სკოპინგის ეტაპზე, საზოგადოების მიერ წარმოდგენილი მოსაზრებებისა და შენიშვნების შეფასება და პროექტთან დაკავშირებით ადგილობრივი მოსახლეობის პოზიციების, დამოკიდებულების და შეთანხმების (არსებობის შემთხვევაში) ამსახველი ინფორმაცია;
- დოკუმენტის მე-2 ნაწილში წარმოდგენილი ცხრილი - „გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი და დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული კანონმდებლობა და ნორმატიული აქტები“, საჭიროებს შესაბამის კორექტირებას/განახლებას. ამასთან, დოკუმენტის მე-10 გვერდზე ადამიანთა გარემოსდაცვითი უფლებების დაცვის საფუძვლად მითითებულია საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლი. აღნიშნული ჩანაწერი საჭიროებს კორექტირებას და მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანას.

სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით, ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს ზემოაღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ განსაზღვრული სრულყოფილი დოკუმენტაციის სააგენტოში წარმოდგენის შემდეგ.

თამარ შარაშიძე

სააგენტოს უფროსი - მ.შ.

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო